„დროების“ რედაქცია — სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] 25 მანათი; პირველი 50 მან. [illegible] ბისა ითვლება მათგან დაჭერილის [illegible]ლობაზე.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

## „დროების“ ფასი მარტის პირველიდამ წლის დამლევამდე 8 მანათი, სოფლის მასწავლებელთათვის 6 მანათი.

## წლით ხელის-მომწერნი ამ წლის ყველა ნომრებს მიიღებენ.

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ, „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება რვა მანათიდამ თორმეტ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს, ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელი

გ. ქართველიშვილი.

(25—2)

## შინაური ქრონიკა

— წარსულს ოქტომბერს უნდა მომხდარიყო მამასახლისებისა და სხვა მოხელეების ამორჩევა ჩვენს სოფლებში. ამ ამორჩევებზედ ვალდებულნი არიან დაესწრნენ ზოგიერთნი უფროსნი მოხელენი და თვალყური ადევნონ წესიერებას. მაგრამ ამ უკანასკნელთ უამინდობითა, თუ სხვა მიზეზით, დაზარებიათ თავის დროზე წასვლა სოფლებში და ამის გამო ჯერ ყველგან ისევ ისე ძველი მამასახლისები არიან და, რასაკვირველია, ჩვეულებრივზე უფრო უგულოდ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. თბილისის ახლო-მახლო სოფლებიდამ გვატყობინებენ, რომ ძველი მამასახლისები, რომელთაც იმედი აღარა აქვთ ხელ-ახლად ამორჩევისა, სრულიად ყურს აღარაფერს უგდებენ და სოფლები თითქმის უპატრონოდ დარჩენილნი არიანო.

— დანიშნულებისამებრ კვირა საღამოს, მარტის 10-ს გორში გაუმართავთ სალიტერატურო საღამო, რომელზედაც ოცდა ერთ თუმნამდე შემოსულა. საღამოს ჩინებულად ჩაუვლია და გორელებმა სრულიად კმაყოფილნი დარჩენილან. ხარჯის გამორიცხვის შემდეგ ეს ფული გადაეცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას“.

ცხინვალში დანიშნული სალიტერატურო საღამო არ მომხდარა, რადგან თოვლ-ბუქისა და ტალახისაგან გზა შეკრული ყოფილა.

— რაც ზემო-იმერეთში „შავიქვა“ გამოჩნდა, დიდძალი მგზავრი დაიარება საჩხერის არე-მარედამ ყვირილის სტანციამდე, როგორც ქვეითი, ისე ტვირთით. ახალ ნაწარმოებს მადნეულობისას ემატება ქვევრები, კრამიტი, აგური, რომლის გასაკეთებლად თითქმის ყველა სოფელში ქარხანაა გამართული. წელიწადი არ გავა, რომ ამ გზაზედ რაიმე უბედურება არ მოხდეს, რადგან თვით გზის უვარგისობის გარდა, ერთი მდინარეა გადასასვლელი, რომელმაც ძალიან მოდიდება იცის. ამას წინად თითო აბაზი უკრეფიათ კვამლზე ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ არავინ იცის ეს ფული, რა იქნა. ხალხი არც მეტს დაიშურებსო, ოღონდაც თავოსანი კაცი გამოჩნდეს და ფული ნამდვილს თავის დანიშნულებას მოახმარონო.

— შაბათიდამ დაწყებული გუშინ გათავდა ნაურუზობა — მაჰმადიან შიიტების ახალი წლის დღესასწაული. თბილისის შიიტები მთელი სამი დღე ფაეტონებით დასეირნობდენ და ქალაქის ბაღებს ავსებდენ.

— ჩვენ გადმოგვცეს, რომ მოკლეს ხანში გამოვა ზღაპრული მოთხრობა ვარშაყიანი(?) ბ-ის ტერ-ახპეტელიანცის რედაქტორობით და ბ-ის ზაქ. ჭიჭინაძის წინა-სიტყვაობით.

— ნავთის მილის გაყვანის საქმე, რომელიც პეტერბურგში ირჩევოდა რუსის ტეხნიკურის საზოგადოებისაგან, როგორც ადგილობრივი გაზეთები ამბობენ, მალე გადასწყდებაო. ნავთის გაყვანის მნიშვნელობა სანავთო მრეწველობისათვის, საკმაოდ ახსნილა კომისიის უკანასკნელ სხდომაზედ პროფესორის მენდელეევისაგან. სხდომაზედ ამტყდარის მსჯელობისაგან თავსმჯდომარეს სხდომასას ვამოუყვანია შემდეგი დასკვნა: 1) ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ ახალი ხარჯის მოხდენა უსაფუძვლოა, რადგანაც, თუნდ დიდი ხარჯიც გაიღონ ამ საგნისათვის, ნავთის გატანა მაინც ძვირად ეღირება და ეს სანავთო მრეწველობის შესაბამი არ იქმნებაო. 2) ნავთის მილის გაყვანის საქმე ჩქარა უნდა გაირჩეს, რადგანაც მისი დაუსრულებლობის გამო ნავთის წარმოების გავრცელება ზიანდება; ამაზედ უმეტესი ნაწილი კომისიის წევრებისა თანხმა გახდენ.

— მარტის 7-ს შუადღისას სურმალინის მაზრის უფროსმა დახურა იგდირში ქალების და ვაჟების სომეხთ სამრევლო სასწავლებელნი. განკარგულებაა მოხდენილი იგდირის მაზრაში სომხების ყველა სასწავლებელთა დასახურავად. სომხების სკოლები დაუხურავსთ აგ-

---

## სამეგრელო გუშინ *)

### IV

როდესაც კნეინა ეკატერინე ალექსანდრეს ასული თავის მამულის სამზღვარზედ მივიდა, სოფელს ჭულაშში სამეგრელოს თავად-აზნაურობა მიეგება თავადის გრიგოლის და ეპისკოპოზითურთ. კნეინამ შენიშნა, რომ მის მიგებებელთა შორის არ იყვნენ მრავალნი პირნი მაღალის წოდებისა და ნამდვილად გაიგო, რომ სამეგრელო მართლა სრულიად აჯანყებული იყო. გლეხებს ღვთის ანაბარად გაეშვათ თავიანთი სახლ-კარი, მოსამსახურეები გაჰქცეოდენ თავად-აზნაურებს და აჯანყებულნი ჯგუფ-ჯგუფად დაიარებოდენ სხვა-და-სხვა ადგილებში. სახლთხუცესმა, თავადმა დავით ჩიქოვანმა, უამბო კნეინას სალხინოში მომხდარი ამბავი და, რასაკვირველია, თავის-თავის გამართლებას ცდილობდა. გრიგოლიც მართლულობდა თავს ინსტრუქციით, რომელშიაც არ იყო მოხსენებული, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო სალხინოში მომხდარი საქმის შესახებ; იმასა და კნეინას შორის უსიამოვნობა მოხდა და კნეინამ გამოუცხადა გრიგოლს, რომ იგი მისგან ჩაიბარებს სამეგრელოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისე დამშვიდებულს გადასცემს, როგორც ჩააბარა; თუ რომ ის ამას არ აასრულებდა, კნეინა ემუქრებოდა — ხელმწიფეს შევატყობინებო. ამ ამბის შემდეგ კნეინა თავის სახლობით და თავადებითურთ ზორდიში წავიდა, აქ ისინი გაისტუმრა და აფიცებდა ყველას ერთმანეთის თანხმობით ემოქმედნათ და ყოველივე ღონისძიება ეხმარათ აჯანყების დასამშვიდებლად, რითაც იგინი დაამტკიცებდენ მცირე-წლოვანი მთავრის ერთგულებას. მაგრამ როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდენ და კნეინასთან მხოლოდ თავადი ჩიქოვანების გვარეულობა დარჩა, მაშინ იგი დარწმუნდა, რომ გრიგოლთან მუქარით ვერას გააწყობდა. მოჩივარნი მოსვენებას არ აძლევდენ მას; ყოველის მხრიდამ ცუდი ამბები მოდიოდა, თვით კნეინა უნდა გამოსულიყო ასპარეზზედ და ემოქმედნა და ასეც მოიქცა: მან მიიწვია ეპისკოპოზი და წავიდა სალხინოში, სადაც ყველა სოფლებიდამ ხალხმა თავი მოიყარა და დაიწყო მოლაპარაკება. კნეინას რომ თავის უმთავრესი მმართველის მოქმედება დაეწუნებინა, დაეთხოვნა იგი, დაესაჯა ზოგიერთა მისი აგენტები, რომელნიც ხალხს ძალიან ეჯავრებოდენ — იგი ამით მოიგებდა გლეხების გულს და აჯანყებაც მოისპობოდა. ამისთანა დროს დანაკლისის შესრულებაზედ ფიქრი უდროვო იყო, პირ იქით მას რამდენიმე ათასი მანათი უნდა დაერიგებინა ხალხისათვის კნეინამ კარგად იცოდა, თუ ხალხი რა ნაირად იყო ომისაგან განადგურებული, მის ცხენის ფერხთა წინაშე ეცემოდენ შეწუხებულნი, რომელთაც ომისაგან არავითარი საცხოვრებელი აღარ შერჩენოდათ, და იმის ნაცვლად, რომ ხალხისათვის რაიმე შეღავათი მიეცა, როგორც აძლევდა მთავრობა იმერეთისა და გურიის ხალხს, სამეგრელოს ხალხზედ ბევრით ნაკლებ დაზიანებულს, — კნეინა ომის გათავების უმალვე შეუდგა თავის დაზიანებული მამულების გაუმჯობესობას ხალხზედ სამძიმო ხარჯის დადებით. კნეინა თვითონაც გრძნობდა ამ თავის შეცდომას და იმას, რომ მხოლოდ გლეხებისადმი გულ-უხვობით შეეძლო გაესწორებინა საქმე; გლეხები მაშინვე დამშვიდდებოდენ და თავიანთ მოთავეთ გასცემდენ.

მაგრამ კნეინამ, საუბედუროდ, ეს საშუალება არ იხმარა; მას ეთაკილებოდა აჯანყებული გლეხებისათვის რაიმე დაეთმო და გლეხებთან მოლაპარაკების დროს არამცთუ დაითხოვა სახლთხუცესი, პირ-იქით მას მიანდო მათი გამტყუნება. ამ მოლაპარაკებით არაფერი გარიგდა. ეპისკოპოსიც გამოვიდა სალაპარაკოდ, უბრძანა ხალხის წინაშე ხატები გამოე-

*) იხილე „დროება“ № 52.

რეთვე ბაქოში და შემახიაში. („ნოვ-ობოზრ.").

— ტფილისში რამდენიმე კერძო პირებს მიუღიათ სტამბოლიდამ ტელეგრამები, რომელნიც იცნობებიან, რომ იქაური სომხთა ნაციონალური კრებისაგან ეჩმიაძინის საპატრიარქო ტახტის კანდიდატებად უმეტესის კენჭით არჩეულ იქმნენ. სტამბოლის პატრიარქად ყოფილი არქიეპისკოპოსი ხრიმიანი, სმირნის არქიეპისკოპოსი მელქისედეკ მურადიანი და ბესარაბიის არქიეპისკოპოსი მაკარი. ამ უკანასკნელმა დანარჩენებზედ რიცხვით ნაკლები კენჭი მიიღო.

## „დროების" კორესპონდენციები

**გურია**, მარტის 8-ს. ყვავილი და კიდევ ყვავილი!!. რისხვაა ჩვენს თავზე! მთელს მაზრაში მოდებულია და მძვინვარებენ „ბატონები". არ დარჩენილა სოფელი, სადაც ყვავილი შიშის ზარს არა ჰსცემდეს ხალხს და საიდამაც მცხოვრებნი არ გარბოდენ მთებში და ტყეებში სახიზნად. მკითხველმა უკვე იცის, რომ ერთი საზოგადოება (ასკანისა) მთლად გაანადგურა ამ ჭირმა — გაანადგურა ისე, რომ გურიის სხვა შორეული სოფლელები ეკითხებიან ერთმანეთს: ნეტავი გადარჩა ვინმე ყვავილს ასკანაშიო?.. ღრმად მოხუცნიც კი განცვიფრებაში არიან იმ უბედურებისა-გამო, რომელიც წელს ყვავილმა ჩვენს კუთხეს არგუნა. თუმცა საერთოდ მაზრაზედ მოდებული ყვავილი ბევრჯერ ახსოვთ ამათ, მაგრამ არას-დროს იმის მეათედი ნაწილიც არ უმსხვერპლია „ბატონებს", რამდენიც წელს იმსხვერპლა. მცირე საყვედური-კი არ გვმართებს ჩვენს მაზრის ექიმთან, რომელმაც ძალიან გვიან გაიბერტყეს ყურები და ისიც მარტო ასკანლებისათვის; სხვა სოფლები-კი ღვთის ანაბარად არიან მიტოვებულნი.

ამ მოკლე ხანში ყვავილი ეწვია ს. სურებს და დ. ჩოხატაურს. ჯერ ორიოდ სახლში ჩადგა ეს საზარელი ბოქაული. დ. ჩოხატაურში ერთი ავადმყოფი სწევს თავის დუქანში, რომლის კარები მუდამ დღე გაღებულია, და საიდამაც თავისუფლად გამოდის მოწამლული ჰაერი.

დ. ჩოხატაური-კი ადმინისტრაციის წარმომადგენელის საცხოვრებელი დაბაა!!

წელს ყვავილიანობამ გულ-ნაკლულად ერთი კუთხეც არ დაგდო, მგონი, ჩვენის ქვეყნისა და ამის გამო, ვისაც დღემდის არ გაეგონა, დღეს მაინც ეცოდინება, აუარებელის კორესპონდენციებისაგან, თუ როგორ უყურებს ჩვენ მდაბალი ხალხი ამ სენს, რად უწოდებს მას „ბატონებს" და სხვ,. აი, ამ გვარის შეხედულობის წყალობით მოხდა ასეთი ახირებული ამბავი; ერთი გლეხი ავად გახდა გაციებისგან და სიცხისგან ტანზედაც გამოჰყარა; გადასწყვიტეს — ყვავილიაო და შესთხოვეს „ბატონებს", ოღონდ შეიწყალე ავადმყოფი და მორჩენისათანავე ძღვენს მოგართმევს და ლამესაც გითევსო. გლეხი მორჩა, მორთო ძვირფასი ძღვენი და გასწია მეორე ყვავილით მოდებულს სოფელში. დაჰყო იქ ერთი ღამე და მეორე დღეს თან წამოიღო ყვავილი და დაურიგა მეზობლებს.

ჩვენში არ იციან, თუ ყვავილი ჰაერით ვრცელდება: ხშირად ყვავილნახადი კაცები სრულიად არ ერიდებიან ამ ჭირს და ავრცელებენ მას უხდელს ხალხში. დიდად საჭიროა ხალხმა გაიცნოს ეს სენი; რამდენად დაავალებდენ ხალხს ჩვენი განვითარებული ექიმები პატარა ბროშურის გამოცემით ქართულს ენაზედ ამ ჭირის შესახებ.

ეხლა მეორე სენზე გადვიდეთ. ეს სენი გახლავთ ის 18,000 მან., რომელზედაც ჩოხატაურელი კორესპონდენტი გწერდათ („დრ." № 38).

ამბობენ ეს კარგა ძალი ლუკმა ერთს ჩვენს ბობოლას და ხალხის „კეთილის-მყოფელთაგანს" ყელზედ დაადგაო და გადაყლაპვასაც ვერ ახერხებსო. რა ფართო მუცლისა და გაფარჯიშებული ყელის პატრონი უნდა იყვეს კაცი, რომ გაბედოს 18,000 მანათის ერთად პირში ჩადება! უძალლო ქვეყნის რამდენად განებივრებული მეფე უნდა იყვეს იგი და თავის გარემემო ადამიანს არ უნდა ამჩნევდეს, რომ ამ უზარ-მაზარი ლუკმის აგლეჯას ფიქრობდეს 2000-ზედ მეტი თავისთანა სულ-დგმულებისაგან! მაგრამ ჩვენს უბედურს კუთხეში ყველაფერს ამისთანას ფართო ასპარეზი აქვს დათმობილი. ეს ფაქტი ჩვენი ცხოვრებისა მეტად საინტერესოა და მართლადაც მთელი ხალხი დააყენა ფეხზედ, აალაპარაკა, წამოაცოცხლა და ღიმიც მოჰგვარა პირზედ. უმრავლესობა მთელის გურიის მცხოვრებლებისა ამ საქმის დაბოლოებაში, როგორც სარკეში, აპირებს თავის ბედის და უბედობის დანახვას; ეს იმისთვის, რომ, რამდენადაც საზოგადო ხმას დაეჯერება, ამის მზგავსი არა მომხდარა-რა, რომ ხალხს ასე ცხადად და პირ-და-პირ შეეხედოს უსამართლოებისათვის, რომლის წყალობითაც ის უნდა დაიტანჯოს და იმედიც აქვს რომ მცირეოდენის გამოძიების შემდეგ იგი თავისუფალი გახდება. თუ რა მოხდება წინაამდეგს შემთხვევაში, თუ-კი ხალხს მუქარის განხორციელება შეუძლია, არა სასიამოვნო წარმოსადგენია. მართალია ეს გარდასახადი (ხალხის წრფელის გულით უსამართლოდ აღიარებული) ეხება მარტო სამს საზოგადოებას, მაგრამ მთელი ჩვენი გლეხობის ყურადღება მიიპყრა ან და ყველასა ჰსურს ამ საქმეში რაიმე მონაწილეობა მიიღოს და მხარი მისცეს [illegible]. ხალხი სრულიად [illegible] ამ უსამართლო გარდასახადთან შეფეთებას; პირ-იქით უხარიან კიდეც: მას მიეცა შემთხვევა ერთხელ და სამუდამოდ, გამოაშკარაოს, თუ რა ნაირად ეპყრობიან მას ამისთანა „კეთილის-მყოფნი". ქეთილის მყოფნიც იმდენად არიან და, რაც ძალი დაღონეა, მეცადინეობენ საქმის გასწორებას.

თუ ის გარემოება მართალია (და ძლიერ დაბეჯითებით კი ამტკიცებს საზოგადო ხმა), რომ მათს პირობაზედ, არამცთუ დაუსწრებელთ და დასწრებულთ მათგან ძალ-დატანებით, არამედ ხუთი-ექვსი წლის წინედ მიცვალებულთაც-კი აქვთ ხელი მოწერილნი, — და ესენი კიდევ დაფაციცებენ და თავის გამართლებას მოელიან... ჯან მათს მოქმედებას!!.

შეხანია.

**სოფელი ნორიო** (თბილისის მაზრა), თებერვლის 25-ს გავიარე ს. ნორიოში და ვნახე ერთ ალაგას ხალხი შეჯგუფებული იდგა და დიდი ალიაქოთი შესდგომოდათ. ამ ხალხში ერთს კაცსა დავუძახე და ვკითხე: რა ამბავია, ხალხი რისთვის შეყრილა-მეთქი?

— რაღა რა ამბავია, შენი ჭირიმე, უბედურება არის.

— მაინც!

— აი, შენი ჭირიმე ყური დამიგდე და მოგახსენებ: სოფელს პატარა ლილოზე მოახდინა ერთმა აქაურმა გლეხმა კოტე ტაკაშვილმა ერთი შესანიშნავი ამბავი. ეს კოტე ტაკაშვილი ყანების მეველეთ იყო ამორჩეული სოფელ პატარა ლილოს საზოგადოებისაგან. თებერვლის 21-ს, შუაღამისას, ამ კოტე ტაკაშვილმა მოიტაცა პატ. ლილოდგან ერთი გასათხოვარი ქალი და იმ ღამესვე ნორიოში გადმოიყვანა. ეს ქალი არის კარგი ოჯახი-შვილისა, გვარად ყარ-

---

ტანათ, არიგებდა ხალხს, მაგრამ მისმა დარიგებამ არავითარი გავლენა არ იქონია ხალხზედ; გლეხები მაღლის ხმით უყვიროდენ, რომ შენ დედოფლის მომხრე ხარ და არა სულიერი ჩვენი მწყემსიო. საქმე იქამდინ მივიდა, რომ კნეინას სალხინოში დარჩენა საშიში შეიქნა; რამდენსამე მის მხლებელთაგანს სცემეს, რის გამოც იგი იძულებული შეიქმნა აქედამ წასულიყო თავის ნათესავი ქალის მენიკა დადიანის სახლში, ქვაშიხორში. აქ მოვიდენ მასთან გრიგოლი და კონსტანტინე.

საქმე თან-და-თან უფრო ცუდად მიდიოდა და მაშინ კი მიხვდა კნეინა, რომ შემწე არავინა ჰყავდა. მან გაიგო, რომ თუმცა აჯანყების მიზეზი სრულიად უბრალო იყო, მაგრამ რაკი ეს უბრალო მიზეზი ასე გაზვიადდა, მისმა მტრებმაც ხელი შეუწყეს, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ განსვენებულის მთავრის ანგარ-მოყვარეობით. კნეინას თავის ქმრის მაგივრად ხდებოდა ეს უსიამოვნება და მან კარგად იცოდა ვინც იკისრა ამ უსიამოვნობის მოხდენა მხოლოდ იმისთვის, რომ იგი თავის ქმრისაგან გაკვლეულს გზაზედ მიდიოდა. მისნი მოწინააღმდეგენი მრავალნი იყვნენ.

წინ იდგა ჯგუფი ბატონიშვილებისა (დადიანები), სამის ძმისა — გიორგი, პეტრე და ბესარიონ, შვილნი დიდი ნიკოსი. მათი მამა ერთს დროს მთავრის ლევანის მარჯვენა ხელი და ვეზირი ყოფილიყო, რომელიც დიდხანს სამეგრელოს ისე განაგებდა, როგორც უნდოდა. როცა დავითი გახდა მმართველი, ჯერ ისევ მამის დროსვე, გამოცვალა დიდი ნიკო და აქედამ დაიწყო ამ ოჯახის მძულვარება მთავრისადმი. სამი შვილი ცდილობდა მამის მაგიერ ჯავრის ამოყრას და ყოველთვის იმის ფიქრში იყვნენ, რომ ხალხი აეჯანყებინათ და მთავრის ღირსება დაემცირებინათ. მათს მძულვარებას შეუერთა თავის მძულვარება თავადმა მიხეილ შარვაშიძემაც, აფხაზეთის მთავარმა, რომელსაც უფროსი ძმის გიორგის ქალი ჰყავდა ცოლად; იგი ყოველისგზით აქეზებდა კნეინას ქვეშევრდომ თავადებს. ეს ბატონიშვილები არამცთუ დავითისაგან დადგენილს მოხელეთ ეწინააღმდეგებოდენ, არამედ დავითის ყოველს განკარგულებას სხვანაირად აგონებდენ ხალხს, რომ უფრო გაეძლიერებინათ უკმაყოფილება მთავრისა და ხალხის შორის. იმავ დროს ეს სამი პირი, როდესაც კი დავითს შეეყრებოდენ, ერთგულებასა და ქვეშევრდომობას არწმუნებდენ მას. ამ სამთა ძმათა შეხვედრა დედოფალთან მე თვითონ არა ერთხელ მინახავს და ყოველთვის მიკვირდა მათი ცბიერება. ერთი ძმათაგანი, პეტრე, დედოფალს პეტერბურგშიაც გაჰყვა და თავის თავს მცირე წლოვანი მთავრის გულის შემატკივარ ნათესავად სთვლიდა. გლეხების აჯანყება უეჭველად ამათაც მოუტანდა ვნებას, მაგრამ იგინი არამც თუ ამშვიდებდენ აჯანყებულთ, არამედ უფრო აქეზებდენ თავიანთ აგენტების შემწეობით; სამივე ძმები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ, ბოლოს რუსის მთავრობა მიიღებდა საშუალებას აჯანყებულთა დასამშვიდებლად, რომელიც მთავრისათვის საზარალო იქნებოდა.

ამ სამთა ძმათა გვერდში უდგნენ მათი გვარის კაცნი, რომელთა მოთავედ ელიზბარ დადიანი იყო და მათ მიემხრნენ მრავალნი თავადნი და აზნაურნი — მხეიძეები, მიქაძეები, დგებუაძეები და სხვანი. ყველა ამათ დიდი ხანია უნდოდათ სამთავროს გაუქმება; ესენი რუსეთის მთავრობის მომხრენი იყვნენ და მხოლოდ ის უნდოდათ, რომ იგივე წესი დამყარებულიყო სამეგრელოშიაც, როგორიც იმერეთში და გურიაში. მთავრისგან სწუხდებოდენ იგინი არამც თუ იმისთვის, რომ მის ხელში მატერიალურად ცხოვრების გაუმჯობესობა შეუძლებელი იყო (მთავარს მიჰქონდა ყველაფერი, რაც კი საუკეთესო რამ აღმოუჩნდებოდათ ქვეშევრდომებს), არამედ იმისთვის, რომ მთავრისაგან მაღალი წოდების პიროვნება და ღირსება ითრგუნებოდა. სამეგრელოს თავადს და აზნაურს, რომელთაც რუსის

ყარაშვილისა, სახელად ჰქვიან ოლა. გათენდა დილა, დედ-მამამ დაუწყო ძებნა ქალსა და ეს ამბავი მთელს სოფელში გავარდა, ასე რომ ხუთს წამში დიდი და პატარა შეიყარა. ხალხი ზოგი აღმა მირბის, ზოგი თავქვე, მაგრამ ვერა გაუწყვიათ-რა. პოტე ტაკაშვილმა დაამინავა ქალი თავის სახლში, თითონ წავიდა პატარა ლილოზე, გადავიდა და უთხრა შეყრილს საზოგადოებას: «თქვე ოხრებო, რას დარბიხართ და ეძებთ ქალს უგზოუკლოდ, ქალი მე წავიყვანე და ნორიოში მყავსო». რაწამს ეს გაიგეს, დაიჭირეს ეს ბიჭი, წაუყარეს ფეხში ბორკილი და ჩააგდეს საპყრობილეში. სხვები გაექანენ შინისკენ, შეიარაღდენ დამბაჩებით, კომბლებით და გამოსწიეს ნორიოსკენ ქალის ძალ-და-ძალ წასაყვანად.

„მოვიდენ ნორიოში, მაგრამ ქალი დაემალათ და თუნდ ესეც არ ყოფილიყო, რას გახდებოდა ბატკანი მგელთან, რას გახდებოდენ ლილოელები ნორიელებთან, როდესაც პატარა ლილო სიდიდით ერთია და ნორიო ათი. ლილოელები ორი დღე-და-ღამე დარჩნენ ნორიოში იმ დაკარგული ქალის ძებნაში, მაგრამ კვალსაც ვერ მიაგნეს. მესამე დღე რომ გათენდა, ნახეს ქალი და დაუპირეს წაყვანა, მაგრამ ნორიოს მოხელეებმა პასუხად უთხრეს: «მინამ იმ დაჭერილ ბიჭს არ გამოგვიგზავნით, არ დაგანებებთ ქალსაო.

«ლილოელები ისევ შინ დაბრუნდენ, ქალი კი დარჩა ნორიოში; თან წაჰყვნენ მამასახლისი და ერთი ნორიელი მოსამართლე. მივიდენ ლილოზე, მოუყვიდათ ლაპარაკი, მაგრამ დაჭერილს ბიჭს არ უშვებდენ. ამ დროს ნორიელი მოსამართლე ფრიდონ ბამჯაშვილი შესულა საპყრობილეში, დაუმტვრევია ბორკილი და გამოუშვია ბიჭი ძალაობით. გაჯავრებული ქალის მამა და ნათესავები ჩასხდენ თოფ-იარაღში და გამოსწიეს აქეთკენ, მოვიდენ აქ და დიდი ჩხუბი მოახდინეს. პინალამ ხანჯლებით ერთი ერთმანეთი ამოჰხოცეს; მამასახლისიც ხელში დასჭრეს და, აი, ამაზე არის, შენი ჭირიმე, შეყრილი ხალხი.»

ბოლოს ვკითხე: ქალი ეხლა აქ არის-მეთქი?

— არა შენი ჭირიმე, ეს არის ეხლა წაიყვანეს თრევით ლილოელებმა შინ თავის სახლში...

ნ. ნორისხეველი.

---

**სამეგრელო,** მარტის 8-ს. სენაკის მაზრის თავად-აზნაურთ კრება თებერვლის 24-ს დაიწყო და მარტის 3-ს გათავდა. ოფიციალურ პირებს გარდა ამ კრებას დაესწრენ (ქუთაისიდამ) ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის მმართველი დ. დადიანი და სააზნ. სასწ. ინსპექტორი ალექსი ჭიჭინაძე.

პირველი საგანი სამეგრელო-ზურიის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სახლის აშენება იყო, რომელიც სასურველად დაბოლოვდა: კრებამ ერთხმად მიიღო ადგილობრივი სკოლის ინსპექტორის მოხსენებული მოსაზრება სკოლის საჭიროებისა და სახლის აშენების შესახებ, დაახლოებითი პლანი და სახარჯო ანგარიში და პროტოკოლით დაადგინა, რათა ფრიადის სიჩქარით გაიწერონ ხსენებული მაზრის თავად-აზნაურთა ერთ დროებით შემოსატანად 15 ათასი მანათი. მაშინვე აღირჩიეს უზნობით კომისია, რომელმაც ამ მოკლე დროში უნდა გაანაწილოს თავად-აზნაურობაზე ზემოხსენებული ფულის რაოდენობა და მოკლე დროში მოჰკრიბოს, რადგანაც სახლის აგება ძლიერ საჩქაროა. კომისიის წევრთაგან მოკრებილის ფულს მიიღებს თვით სკოლის ინსპექტორი ბ. ს. ყიფიანი და ჩასწერს „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისაგან“ დამტკიცებულს დავთარში, რომელშიაც სპეციალურად სამეგრელო-ზურიის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სახლის ასაშენებელი შემოწირულება იწერება.

სხვათა შორის ამ კრებაზე წარმოითქვა აზრი, თუ რამდენად უნდა გაფართოვდეს სკოლა და რა ხასიათი უნდა ჰქონდეს მას მომავალში. მომავალს წელში აწმყო ორი განყოფილება სამად იქცევა და ერთიც—მეოთხე განყოფილება—ქუთაისიდამ უნდა გადმოტანილ იქმნას. ამ ოთხი წლის კურსს მერმისს 1886-ი სასწავლო წლიდამ უნდა მოემატოს ჯერ ერთი და მერმე მეორე და, შეიძლება, მესამე სპეციალური კლასებიც აგრონომიო-პრაქტიკული ხასიათისა. ამის შესახებ ილაპარაკა ბ. ა. ჭიჭინაძემ, რომელსაც კრებამ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა. ახლა სკოლის მოთავეებზეა დამოკიდებული მომავალი ახალი სასწავლებლის პროგრამის შემუშავება. სწორედ კარგი იქნებოდა, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას დაენიშნა კრება ჩვენი სკოლების მზრუნველ პირთა თანა დასწრებით და გამოეკვლია და შეემუშავებინა პროგრამა და ხასიათი ჩვენი ახლად დაბადებული და დასაბადები სკოლებისა ამერ-იმერში.

მეორე საგანი ის იყო, რომ სამეგრელოს თავად-აზნაურთა ღირსების საქმე ჯერ გაურჩეველი და დაუბოლოვებელია, რის გამოც აქაურ თავად-აზნაურთ არ შეუძლიათ თავიანთ საჭიროებაზე საგუბერნიო წინამძღოლის საშუალებით ითხოვონ რამე უზენაესის მმართებლობის წინაშე და ან სხვა რამე წოდებრივს საქმეზე იზრუნონ ისე, როგორც საქართველო-იმერეთის თავად-აზნაურთა. რადგანაც ახლა თხოვნის შესაფერი დრო იყო, იმპერატრიცის ეკატერინესაგან მოცემულის სათავად-აზნაურო სიგელის იუბილეის გამო, ამისათვის ამოირჩიეს დეპუტატები, თავადთაგან პორუჩიკი ელიზბარ დადიანი და აზნაურთაგან ნესტორ ახვლედიანი, რომელნიც უნდა შეევედრონ სამეგრელოს თავად-აზნაურობის მხრივ მათს იმპერატორებითს დიდებულებას, რუსეთის იმპერატორს, რათა თავად-აზნაურთა ღირსების გამრჩევი კომისიის საქმეები დაჩქარდეს.

ერთი დამსწრეთაგანი.

---

## ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“.

მარტის 12-ს.

ბერლინი, რეიხსტაგმა გადაწყვეტით მიიღო კანონ-პროექტი შესახებ სუბსიდიის მიცემისა ოკეანებზე მომქმედ ნავოსნობის საზოგადოებათათვის.

სუაკიმი. თამაის გზაზედ, ზარებას სიმაგრეებში ინგლისელებს აჯანყებულნი თავს დაესხნენ, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ, უკუქცეულ იქმნენ. აჯანყებულებს 1500 კაცამდე მოუკლეს.

ვენა. ოფიციოზური გაზეთი „ფრემდენბლატ“ ამტყუნებს იმ ხმებს, ვითომც ავსტრია ბალკანიის ნახევარ-კუნძულზედ ჩარევას აპირობდეს. ეს გაზეთი ამბობს, რომ ავსტრიასა სურს, აგრეთვე როგორც სხვა სახემწიფოებს,—დაცულ იქმნას წესიერება და მშვიდობიანობა ბალკანიის ნახევარკუნძულზედ როგორც ამას მოითხოვენ სახემწიფოთა შორის ხელშეკრულობანი.

პარიჟი. პალატამ მიიღო ყველა მუხლები იმ კანონ-პროექტისა, რო-

---

სამსახურში უნდოდათ შესვლა, პირველად მთავრისაგან უნდა აეღოთ ნება და მათ რამდენიც უნდა ემსახურათ და რა ჩინებიც უნდა მიეღოთ, რაკი სამშობლოში დაბრუნდებოდენ, უწინდელსავით მაინც არაფერნი იყვნენ მთავრის წინაშე; მათს სამსახურს და ჩინს ისევე არა სცემდენ პატივს, როგორც მათგან მიღებულს განათლებას და საქმიანობას. ამისთანა კაცები არამც თუ საჭირონი იყვნენ მთავრისათვის, არამედ თავიდამ იცილებდა და თავის მხლებელნი სრულიად დამონავებულნი ჰყავდა, რასაც განათლებულს და გარუსებულს ხალხს ვერ მოსთხოვდა. რამდენიც მრავლდებოდა ამისთანა კაცების რიცხვი, იმდენი უკმაყოფილებაც ძლიერდებოდა, რადგანაც მთავარი ამისთანა პირების თავმოყვარეობას სრულიად პატივს არა სცემდა. არა ერთი საზიზღარი საქმე მომხდარა აქა და მაგალითისათვის მხოლოდ ერთს მოვიყვანთ: აზნაური ანდრია ზეგეჭყორი ყმაწვილობითვე თბილისში ყოფილიყო, ესწავლა იქ გიმნაზიაში. ძალიან კარგად გაათავა კურსი და რუსის სამსახურში შესვლა განიზრახა; ამისთვის მთავრისგან ნების აღება დასჭირდა, მაგრამ მან უარი უთხრა. როდესაც გაიგო, რომ ყმაწვილი კარგად სწავლობდა, დაიბარა სამეგრელოში და თავის მწერლად გაიხადა. რაკი თავის უნებურად წაიყვანეს, ზეგეჭყორიმ ვერ მოითმინა თავის პიროვნების შეურაცხება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამეგრელოს მართვის შესახებ ყველა საქმეები გაიგო და დარწმუნდა, რომ მას არას გზით არ შეუძლიან მთავრის წეს-წყობილებას თანაუგრძნოს. მან ყმაწვილურის გამბედაობით არა ერთხელ გამოუცხადა დავითს თავის აზრი და უალაგო-ალაგას სიმართლის თქმამ დალუპა იგი. დავითი ჯერ ხუმრობად სთვლიდა ზეგეჭყორის მოქმედებას და უნდოდა იგი სასახლის მასხარად გაეხადა; ყმაწვილმა კაცმა ეს არ იკადრა და თავხედურის გამბედაობით ეუბნებოდა ყოველისფერს. საქმე იქამდის მივიდა, რომ საწყალს ზეგეჭყორს შეუბრალებლად დაუწყო მთავარმა დევნა. ცემა-ტყეპა, ციხეში დატუსაღება, მშრალს პურსა და წყალზედ, ყოფნა ყოველივე ეს გამოსცადა საბრალო ყმაწვილმა კაცმა. მისმა აგებულებამ ვერ აიტანა ეს ტანჯვა-წვალება და გამოუშვეს ციხიდამ სრულიად დადამბლავებული. სიგლახავეში ატარებდა ეს საბრალო კაცი თავის ცხოვრებას, სანამ მთავარი განაგებდა სამეგრელოს, მაგრამ მაინც იქამდის იცოცხლა, სინამ რუსების მთავრობა დამყარდა სამეგრელოშიაც, რომელმაც ეს საწყალი კაცი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო. თუ ამისთანა საქმეები ხდებოდა მთავრის დროს, რასაკვირველია, უკმაყოფილონი იქნებოდენ ისინი, რომელნიც რუსეთის მომხრენი იყვნენ და რომელთა მოთავედ ელიზბარ დადიანი ითვლებოდა. ამის ორი შვილი რუსის კავკასიის ჯარის აფიცრები იყვნენ. თუმცა ეს რუსის მომხრენიც ილუპებოდენ გლეხების არეულობისაგან, მაგრამ ყოველსავე ბრალს დედოფალს სდებდენ და მისი უფლების აღსადგენად ხელსაც ალარა სძრავდენ.

სამეგრელოს აზნაურთა შორისაც დედოფალი ვერა ჰპოვებდა თანაგრძნობას იმის გამო, რომ მისმა ქმარმა ექვსი ათას კომლს აზნაურის ყმებს დაადო ფულის ხარჯი, სახელად საუდიერო. ხარჯის გაღების მიზეზად მთავრობის და ერობის საჭიროების ხდიდენ, მაგრამ ყველამ-კი კარგად იცოდა, რომ ეს ხარჯი მხოლოდ მთავრის ქონებას ემატებოდა და ხალხის საჭიროებაზედ გროშიც არ დაიხარჯებოდა. აზნაურნი დრტვინავდენ, ეწინაღმდეგებოდენ ამ ხარჯის მოკრეფას, მაგრამ მთავარი ჩიქოვანების გვარის დახმარებით იძულებულს ხდიდა მათ აესრულებინათ მისი სურვილი.

(შემდეგი იქნება)

მელიც შეეხება აღმოჩევის წესს დეპარტამენტების სიებით.

## ცნობანი

სამკურნალოში, რომელიც ტფილისის მოქალაქეთ დაარსეს სახსოვრად 4 აპრილისა 1866 წლისა, ავად-მყოფნი მიიღებიან დილის 8 საათიდამ 12 საათამდინ.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნალოში ავად-მყოფებს შემდეგი ექიმები: ტერ-გრიგორიანცი—8 საათიდამ 9 ასსათამდინ. საბებიო, საქალებო და საბავშვო ავადმყოფობის საწამლელად; ადამიანცი—9-დამ 10-საათამდე შინაგან და ნერვულ ავადმყოფობათა საწამლელად; ბენკლევსკი—10—11 სათამდე.— საქირურგო, სასიფილისო ავადმყოფობის წამლობისათვის და აგრეთვე კბილისა და ყურის ტკივილის საწამლელად; შტემბორსკი 11—12 საათამდე სიფილისისა და სხეულზე გამოყრილი მუწუკების წამლობისათვის. ამას გარდა გარაძლევიჩი ორშაბათობით 9—10 საათამდე შინაგან ავადმყოფობის წამლობისათვის; კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის 10—11 საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და პარასკევობით 9—10 საათამდე ქირურგიული ავადმყოფობისათვის; ხამჩინსკი სამშაბათობით და შაბათობით 11—12 საათამდე თვალის ტკივილის საწამლებლად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით და პარასკევობით 10—11 საათამდე შინაგან ავადმყოფობათა წამლობისათვის; ვოლფსონი კბილის ტკივილის საწამლებლად მიიღებს თავის სახლში ყოველთვის ღარიბ ავადმყოფებს, რომელთაც სამკურნალოდამ ბარათი ექმნებათ.

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— —1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 2½

მეორისა— — —1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:

პირველი ხარისხის —1 გ. 4½

მეორისა— — —1 გ. 3 კ.

მესამისა— — —1 გ. 2½

ჯვარის-მამი პური:

პირველი ხარის. ლავაში 1 გ. 4½

მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3½

მესამისა — — —1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ. 8 კ.

მეორისა— — —1 გ. 7 კ.

სუკი . . . —1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი —1 გ. 9 კ.

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა—1 გ.

მეორისა— — —1 გ.

## რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით
თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო
10 ს. 58 წ. ღამ.)
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.
მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშევი** ამით აცხადებს, რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამღამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ექიმები:**

**არუთინიანი**, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

**კორონა**, სამშაბათობით და შაბათობით.

**მელიქ-ფარსადანოვი**, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

**ბებიები:**

**ფილჩაკოვისა**, სამშაბათობით.

**ბაგინოვისა**, ორშაბათობით, და პარასკევობით.

**სტეფანოვისა**, ოთხშაბათობით და შაბათობით.

**ლოქშისა**. ხუთშაბათობით და კვირაობით.


## განცხადებანი

**გრ. ჩარკვიანის**

**ქართული წიგნის მაღაზიაში**

იყიდება ახლად დაბეჭდილი

**ქართული**

**მოძრავი ასოები**

შედ. ალექ. მირიანაშვილისაგან.

ფასი ყუთით ერთი მანათი. ცალკე ფურცლები თითო შაური. (3—2)

**დაყიდვა**

ნახევარ ფასად: ტანისამოსი, ქუდები, ჩოთქები, პენალები, კრანები, ნიჩბები, სურათები, საფხეკი, სახეხი, ჭადრაკი, პორტსიგარები, სალესავი და სხვ. და სხვ. **ინგლისის მაღაზიაში.** (10—7)

## ქადაგებანი

იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისა, ორი ტომი, იყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე ქუთაისისაში. ფასი თვითო ტომისა მანათ-ნახევარი. თბილისის და ქუთაისის გარეშე მცხოვრებნი პირნი დაიბარებენ ქადაგებათა ამ სახით: въ Тифлисъ, въ Кавказскую книжную торговлю Грикурова, ან въ Кутаисъ: въ канцелярію Епископа. (16—13)

**ინგლისის მაღაზიაში**



**თმის-ამომყვანი**

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—98)

**მაკ-მასტერი**

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მნ., სხოტკები თავის ტკივილის ასასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

**საგლობუსო**  **კალმები**

**ტურნერისა და ამხ.**

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისიეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის", 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კონვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასეები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლეიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჯდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირ-სახოცები, ჭოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა" (exhibition on pen, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპ. თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85. (100—8)

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლების თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94 93, (92 სამუსიკო მაღაზიაა ლანგოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85, რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარ გარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი | ჩაი | 1 მან.—კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან. 20 ღირებულს. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — 50 — |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 — |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 — |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 — |
| ,, | ჩუჩეჩუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 — |
| ,, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზომო-მოყვანილ ფასებად.

ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება.

ქალაქს გარეშე მცხოვრები, ვინც 6 გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესსენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლეიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრავოტები და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდან—აი სეკრეტი ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის უჩვეულებრივო სიმრავლეს ჩაისას, კალმებისას, ქაღალდებისას, კრავოტებისას და სხვ... (100—8)


Доз. цен°. Тифлисъ, 12 Марта 1885 г. სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.